



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

06 დეკემბერი 2024



N 2-864

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ჩირინა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით
გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის
შესახებ


„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7² პუნქტის, საქართველოს მთავრობის
2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“
მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და
ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის
ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-6 მუხლებისა და შპს „ჩირინა“-ს 2024 წლის 15
ნოემბრის N34422 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- გაიცეს შპს „ჩირინა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 203842137) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა
შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის,
რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:
 - R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 300კგ;
 - R449A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF/HFC-134a) - 300კგ;
- ნებართვა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;
- შპს „ჩირინა“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით
დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით
გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის,
წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე
ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჩირინა“-ს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის პირველი მოადგილე